



მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები

ცაგერისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შპს „ალპანა ენერჯის“ ალპანა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშის თაობაზე

გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობისთვის საქართველოში

25 ოქტომბერი, 2022

2022 წლის 3 ოქტომბერს გარემოს ეროვნულმა სააგენტომ გამოაქვეყნა მდ. რიონზე დაგეგმილი 56.9 მეგავატის სიმძლავრის ალპანა ჰესის პროექტის სკოპინგის ანგარიში, რომლის განხორციელებასაც გეგმავს შპს „ალპანა ენერჯი“. პროექტი გულისხმობს 35 მეტრის სიმაღლის დატკეპნილ ბეტონიანი გრავიტაციული კაშხლის, ჰესის შენობის, დაახლოებით 850 მ სიგრძის გამყვანი არხისა და ქვესადგურის მშენებლობას, რომლის შედეგად წარმოიქმნება დაახლოებით 110 ჰექტარის ფართობის (სარკის ზედაპირი) წყალსაცავი.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო არეალში ძირითადად მოქცეული იქნება სოფლების ზოგიშის, ქვედა და ზედა ღვარდიის ტერიტორია, მდ. რიონის არსებული ხეობა, რომლის სიგანე მერყეობს 80-90 მ-დან 120-130 მ-მდე, ხოლო წყალსაცავის ბოლო ნაწილი შედარებით იშლება და დატბორვის ზონაში ყვება მდ. რიონზე და მდ. შარულაზე არსებული საავტომობილო ხიდეები და სოფ. ღვარდიის გზის მონაკვეთი.

ალპანა ჰესი წარმოადგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტს, რომლის განხორციელებასაც გეგმავს შპს. „ალპანა ენერჯი“. საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტოს მონაცემებით, პროექტი იმყოფება მეორე ეტაპზე (პროექტის მომზადება).

საჯარო განხილვები

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 32-ე მუხლის(1) „საზოგადოების ინფორმირება“ მიხედვით, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია უნდა განთავსებულიყო არამხოლოდ გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე, არამედ გ) ... „ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილას (ტრანსპორტის გაჩერება, სკოლა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სავაჭრო ცენტრი, ფოსტის ოფისი ან/და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილი); და „დ) გზმ-ისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის ან სგმ-ისადმი დაქვემდებარებული სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების უახლოეს საჯარო ადგილას.“

2022 წლის 20 ოქტომბერს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული სოფლების (ზოგიში, ქვედა და ზედა ღვარდია) მოსახლეობასთან შეხვედრების დროს, აღმოჩნდა, რომ მათი მხოლოდ მცირე ნაწილი ფლობდა ინფორმაციას მეორე დღეს დაგეგმილი შეხვედრის თაობაზე და მხოლოდ ჩვენთან შეხვედრის შემდეგ შეიტყეს ალპანა ჰესის განხილვის თაობაზე. ამასთან აღსანიშნავია, რომ განცხადებები არ იყო გამოკრული, არც ტრანსპორტის გაჩერებებზე და არც საზოგადოებრივი თავშეყრის

თბილისი, 0179, საქართველო ფალიაშვილის ქ. 39b, IV სართ. ტელეფონი: (995 32) 222 38 74 ელ. ფოსტა: greenalt@greenalt.org ვებ-გვერდი: www.greenalt.org

ადგილებში, მათ შორის, არც უშუალოდ საჯარო განხილვის ჩატარების ადგილზე. აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ 2022 წლის 21 ოქტომბერს გამართულ საჯარო განხილვებში სოფ. ზოგიშა და ზედა ღვარდიაში არ იყო უზრუნველყოფილი პროექტის შესახებ ინფორმაციის დროული, ეფექტიანი და ადეკვატური საშუალებებით მიწოდება ადგილობრივი მოსახლეობისათვის და წარმოადგენს გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსის უხემ დარღვევას.

პროექტის საჭიროება

პროექტის საჭიროების დასაბუთების მიზნით, სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია 3.1. „არაქმედების ალტერნატივა/პროექტის საჭიროების დასაბუთება“ და 5.12 „სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე ზემოქმედება“. აღნიშნული თავები მოიცავს ძალიან ზოგად და თითქმის იდენტურ ინფორმაციას, რომლის საფუძველზე შეუძლებელია დასაბუთდეს პროექტის საჭიროება. ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად, სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ისეთი ზოგადი სახის ინფორმაცია როგორცაა, ელექტროენერჯის დამატებითი რაოდენობის მიწოდება (რაოდენობის დაკონკრეტების და დროში განაწილების გარეშე) სისტემისთვის, რომელიც დოკუმენტის თანახმად, მცირე მაგრამ საგულისხმო როლს ითამაშებს ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის მიღწევაში, 80-100 სამუშაო ადგილის მშენებლობის და 10-12 მუდმივი სამუშაო ადგილის შექმნა ექსპლუატაციის ეტაპზე, ბიუჯეტში შესასვლელი მიწისა და ქონების გადასახადები (კვლავ დაკონკრეტების გარეშე), და ყველაზე საგულისხმო ინფორმაცია, რომ 25 წლის შემდეგ ჰესი გადაეცემა სახელმწიფოს საკუთრებაში.

აღსანიშნავია, რომ საჯარო განხილვაზე, გარემოს ეროვნული სააგენტოს, კომპანიის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მოსახლეობას დაეთანხმნენ, რომ ადგილობრივი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა არც მშენებლობის და არც ექსპლუატაციის ეტაპზე დასაქმებული არ იქნება და შესაბამისად, გადაჭარბებულია დასაქმების პროექტის ძირითად სარგებლად წარმოჩენა.

ანგარიშში არ არის წარმოდგენილი კონკრეტული შეფასებები, თუ რა ზემოქმედება ექნება პროექტს მაგალითად ტურიზმზე, მათ შორის, ეკოტურიზმზე ა.შ. რეგიონის ტურიზმის პოტენციალზე. წარმოდგენილი ინფორმაცია იმდენად ზოგადია, რომ ძნელია წარმოდგენა შეგვექმნას თუნდაც პროექტის ენერგეტიკული სარგებლის შესახებ.

უფრო მეტიც, ვინაიდან ალპანა ჰესი არის საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტი და იმყოფება მეორე ეტაპზე (პროექტის მომზადება), ამ დროისთვის პროექტის თაობაზე მომზადებული უნდა ყოფილიყო მთელი რიგი კვლევები და მათი შედეგები ასახული უნდა ყოფილიყო სწორედ სკოპინგის ანგარიშში, რომლის საფუძველზე მომზადდებოდა დასკვნა. კერძოდ, PPP მეთოდურ-პრაქტიკული სახელმძღვანელოს¹ მიხედვით, ამ ეტაპისთვის უნდა მომზადებულიყო (ან მზადების პროცესში უნდა იყოს) ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კი უნდა მოემზადებინა ფისკალური დასკვნა აღნიშნულ კვლევაზე.

მეორე ეტაპისთვის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა არის არსებითი დოკუმენტი და პროექტის დაფინანსებისა და გადაწყვეტილების მიღების მთავარი საფუძველი. ის უნდა მოიცავდეს სტრატეგიული საჭიროების შეფასებას (სტრატეგიული საჭიროების დასაბუთება), ეკონომიკურ (ხარჯსარგებლიანობის ანალიზი) და კომერციულ შესაბამისობას (ფინანსური მოდელი), ფისკალურ შესაბამისობას, ხარისხის ფასთან თანაფარდობის ანალიზს, რისკების ანალიზს და

¹ <https://bit.ly/3D3s4uR>

ა.შ. სამწუხაროდ, საზოგადოებისთვის უცნობია, რა ეტაპზეა აღნიშნული კვლევა, რა ვალდებულებების აღება იგეგმება სახელმწიფოს მხრიდან, არის თუ არა ფისკალური დასკვნა მომზადებული ფინანსთა სამინისტროს მიერ და ა.შ. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ აუცილებელია მიმდინარე თუ დასრულებული ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების კვლევაში მიღებული მონაცემები ასახული იყოს სკოპინგის ანგარიშში, სხვა შემთხვევაში კი არ არსებობს მსგავსი დასკვნის გაკეთების საფუძველი პროექტზე.

შესაბამისად, სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი ზოგადი ხასიათის ინფორმაციით, შეუძლებელია პროექტის საჭიროების დასაბუთება და სკოპინგის ანგარიშში გაკეთებული დასკვნა რომ „პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური სარგებლის და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემცირება შესაძლებელია შესაბამისი შემარბილებელი და საკომპენსაციო ღონისძიებების ეფექტურად გატარების პირობებში, პროექტის არაქმედების ალტერნატივა (ნულოვანი ალტერნატივა) ვერ იქნება მიჩნეული საუკეთესო ალტერნატივად“, არარელევანტურია.

ალტერნატივების ანალიზი

სკოპინგის ანგარიშის 3.3 თავში „საპროექტო ჰესის ტიპის და ტექნოლოგიური ალტერნატიული ვარიანტები“ განხილული იყო 4 ვარიანტი: 1. 35 მეტრის სიმაღლის ბეტონის წყალსაგდებიანი კაშხალი მიწისზედა სადაწნეო მილსადენით, 2. 35 მეტრის სიმაღლის ბეტონის წყალსაგდებიანი კაშხალი სადაწნეო გვირაბით, 3. კალაპოტური ტიპის ჰესი 35 მეტრის სიმაღლის კაშხლითა და 4. კალაპოტური ტიპის ჰესი 31 მეტრის სიმაღლის კაშხლით. სამინისტროსთვის წარდგენილ სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია მხოლოდ ჰესის მშენებლობაზე უარის თქმისა და თავად ჰესის ობიექტების ტიპის და განლაგების ვარიანტების თაობაზე ინფორმაცია. თუმცა ისეთი გონივრული ალტერნატივები, როგორცაა სხვა განახლებადი ენერჯის წყაროები (ქარი, მზე), საერთოდ არაა ნახსენები, რაც საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის დარღვევასა და სკოპინგით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობას წარმოადგენს.

რაც შეეხება განხილულ ალტერნატივებს, ანგარიშის ავტორების მტკიცებით, საუკეთესო ვარიანტის შესარჩევად გამოყენებული იყო შემდეგი კრიტერიუმები: მიწის გამოყენება, ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე, ზემოქმედება ადგილობრივ კლიმატზე, გეოლოგიურ პირობებზე, სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, რიონის ჰიდროლოგიურ რეჟიმსა და ენერგეტიკული და ეკონომიკური ეფექტურობა.

პირველივე კრიტერიუმის (მიწის გამოყენება) გამოყენებით, საუკეთესო ვარიანტს წარმოადგენს მე-4 ვარიანტი (31 მეტრის კალაპოტური ჰესი) მცირე შეტბორვის ფართობის გამო, თუმცა ანგარიშის ავტორები რატომღაც განსხვავებას ვერ ამჩნევენ და ასკვნიან, რომ „მიწის საკუთრებასა და გამოყენების პირობებზე ზემოქმედების თვალსაზრისით ამ ეტაპზე ალტერნატიულ ვარიანტებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ არის“, რაც წინააღმდეგობრივ დასკვნას წამოადგენს.

ანალოგიური დასკვნა არის გაკეთებული მეორე კრიტერიუმით შეფასებისასაც, თუმცა წინა შემთხვევისგან განსხვავებით, ანგარიშის ავტორები მე-3 და მე-4 ვარიანტებს შორის საუკეთესოს შერჩევას გეგმავენ გზმ ეტაპზე.

ადგილობრივ კლიმატზე ზემოქმედების კუთხით შეფასებისას, გამოიკვეთა მე-4 ვარიანტის უპირატესობა, ვინაიდან დატბორვის სარკის ზედაპირის ფართობი მცირდება 1.1 კვ კილომეტრიდან 0.93 კვ კილომეტრამდე, თუმცა ანგარიშის ავტორები ვერც ამ მიმართულებით ხედავენ განსხვავებას.

თუმცა საგრძნობი განსხვავება ანგარიშის ავტორებმა დაინახეს ენერგეტიკული თვალსაზრისით შეფასებისას და დაასკვნეს, რომ „მე-3 და მე-4 ვარიანტებს შორის ამ ეტაპზე საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს მე-3 ალტერნატიული ვარიანტი, რადგან ხასიათდება უკეთესი ენერგეტიკული

ეფექტურობის და სხვა ვარიანტებთან შედარებით გარემოზე ზემოქმედების დაბალი რისკებით. მიუხედავად იმისა, რომ მე-4 ვარიანტის შემთხვევაში შედარებით ნაკლებია დასატბორი ტერიტორიების ფართობი, ბიოლოგიურ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების რისკები მნიშვნელოვნად განსხვავებული არ იქნება“, რაც ცალსახად წინააღმდეგობრივი ჩანაწერია.

ანალოგიური შეკითხვები გაუჩნდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსაც „N4 ალტერნატიული ვარიანტის მიხედვით, შემცირებულია კაშხლის სიმაღლე და წყალსაცავის შეტბორვის დონე, ხოლო აღნიშნული პარამეტრების შემცირების პირობებში, მცირდება წყალსაცავის წყლით დასატბორი ტერიტორიების ფართობი, მათ შორის დატბორვის ზონაში აღარ ექცევა კერძო მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთები და არსებული სახიდე გადასასვლელები. შერჩეული ალტერნატივა წარმოდგენილი და დასაბუთებული უნდა იყოს გარემოს დაცვის კუთხით.“ აღნიშნულ შეკითხვაზე ძალიან უცნაური პასუხი არის გაცემული კომპანიის მხრიდან, კერძოდ, „მართალია მე-4 ალტერნატიული ვარიანტის შემთხვევაში 0.51 კმ² - ით ნაკლები ტერიტორია დაიტბორება, მაგრამ დატბორვის ზონაში მოექცევა მდ. რიონის და მდ. შარულას შესართავის ფართო კალაპოტი და გავლენის ზონაში მოექცევა დაახლოებით 0.15-0.2 კმ² ფართობის ტერიტორია. ზემოქმედების რისკების შემცირების მიზნით გზმ-ს ფაზაზე განისაზღვრება შესაბამისი შემარბილებელი და საკომპენსაციო ღონისძიებები“. აღნიშნული დასკვნა პრინციპულად არასწორი და წინააღმდეგობრივია, ვინაიდან მე-3 ვარიანტის შემთხვევაში, წყალსაცავი უშუალოდ შედის მდინარე შარულას კალაპოტში ღვარდიაში არსებული შარულას ტურისტული კომპლექსის მიმდებარედ, და საფრთხეს უქმნის კომპლექსს. განხილვაზე საკონსულტაციო ჯგუფის წარმომადგენლების თქმით, შესაძლოა, საჭირო გახდეს ბეტონის კედლის მშენებლობაც კი დატბორვის თავიდან ასაცილებლად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ ადგილმდებარეობის ალტერნატივების შეფასება განხორციელდა მხოლოდ ენერგეტიკული მომგებიანობის თვალსაზრისით და არა სკოპინგში წარმოდგენილი კრიტერიუმებით. შესაბამისად, წარმოდგენილი ალტერნატივების ანალიზი, არღვევს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნებს სკოპინგის ანგარიშთან მიმართებაში.

ზემოქმედება თევზების სახეობებზე

სკოპინგის ანგარიშიდან ირკვევა, რომ საპროექტო კაშხალზე თევზსავალის მოწყობა არ იგეგმება არცერთი ალტერნატიული ვარიანტის შემთხვევაში კაშხლის სიმაღლიდან გამომდინარე, „კერძოდ: მაღალი კაშხლების (15 მ და მეტი სიმაღლის) შემთხვევაში პრაქტიკაში ფართოდ გამოყენებული საფეხურებიანი და ბუნებრივ პირობებთან მიახლოებული თევზსავალები ნაკლებად ეფექტურია.“ იმის გათვალისწინებით რომ მდინარეში წარმოდგენილია კოლხეთის ენდემის 4 სახეობა, კავკასიური ენდემის 2 სახეობა და შავი ზღვის ენდემის 1 სახეობა, უარყოფითი ზემოქმედება იქთიოფაუნაზე იქნება მასშტაბური.

ცალკე უნდა აღინიშნოს ზუთხისებრებზე ზემოქმედების შესახებ სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის სიმწირე.

კერძოდ, სკოპინგის ანგარიშის 5.7.3.1 „ზემოქმედება იქთიოფაუნაზე“ თანახმად, ვინაიდან საპროექტო ტერიტორია ვარციხის ჰესების კასკადის ქვედა ბიეფამდე დაცილების მანძილი 100 კმ-მდეა და აღნიშნულ მონაკვეთზე ფუნქციონირებს სამი ჰესი (გუმათი, რიონჰესი და ვარციხის ჰესების კასკადი) და ამასთან ალპანა ჰესი ექსპლუატაციის პროცესში არ გამოიწვევს წყლის დონის მნიშვნელოვან ცვლილებას, ზუთხისებრთა გავრცელების არეალში წყლის დონის ცვლილებასთან დაკავშირებული ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

მართალია, ზუთხისებრთა გავრცელების არეალი მნიშვნელოვნად არის დაცილებული ალპანა ჰესის საპროექტო ტერიტორიიდან, თუმცა ალპანა ჰესის რეზერვუარის სარკის ზედაპირის ფართობი 110 ჰექტარია, რაც არცთუ ისე მცირეა და ჰესმა ძირითადად უნდა იმუშაოს საათობრივი

რეგულირების რეჟიმში. როგორც რეზერვუარის შევსების ისე მუშაობის პროცესში ქვედა ბიეფში წყლის დონის ცვლილება გარდაუვალია მათ შორის რიონის ქვედა ბიეფში არსებულ ჰესებზეც. შესაბამისად, გაუგებარია, რა მონაცემებს ემყარება სკოპინგის ანგარიშის ეს მტკიცება, რომ წყლის დონის ცვლილებას ზემოქმედება არ ექნება ზუთხისებრებზე. აღნიშნული ჰესი სეცვლის ქვედა ბიეფში განლაგებული სხვა ჰესების მუშაობის რეჟიმსაც, რაც პირდაპირ იმოქმედებს ზუთხისებრებზე.

აღსანიშნავია, რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2021 წლის 9 ნოემბრის N 11636/01 წერილში მოცემულ ანალოგიურ შენიშვნებზე (6,8,9,10,11), მათ შორის, თევზსავალთან და ზუთხისებრთა სახეობებზე ზემოქმედებასთან მიმართებაში, კომპანია უთითებს სკოპინგის ანგარიშის 5.6.3 თავს, სადაც წარმოდგენილი შენიშვნები კომპანიამ თითქოსდა გაითვალისწინა. სამწუხაროდ, სკოპინგის ანგარიშში საერთოდ არ არის წარმოდგენილი 5.6.3 თავი. ანგარიში არის მხოლოდ 5.6 თავი „შემარბილებელი ღონისძიებები“, რაც მიუთითებს, რომ საჯარო განხილვაზე გამოტანილი ანგარიში ან არ წარმოადგენს საბოლოო ვერსიას, რომლის განხილვაც მოხდა 2022 წლის 21 ოქტომბერს, ანაც სამინისტროს წარმოდგენილ მნიშვნელოვანი შენიშვნები კომპანიამ არ გაითვალისწინა.

შპს. „ალპანა ენერჯი“-ს მეწილეები

2022 წლის 21 ოქტომბერს გამართული საჯარო განხილვებისას დაისვა შეკითხვა კომპანიის წარმომავლობის და მისი მეწილეების თაობაზე. კომპანიის წარმომადგენლების განცხადებით, პროექტი განხორციელდება კონსორციუმის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედის საფრანგეთის სახელმწიფო ენერგოსისტემაც (სავარაუდოდ იგულისხმება EDF) და სწორედ ისინი იქნებიან მშენებლობის წარმართველები. თუმცა აღნიშნული ინფორმაცია სკოპინგის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი. 2019 წლის ნოემბრის ბიზნესრეესტრის მონაცემებით კი, ალპანა ენერჯი არის საქართველოში რეგისტრირებული კომპანია, რომლის აქციონერებიც არიან თურქეთის მოქალაქეები. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ აუცილებელი იყო სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი ყოფილიყო განახლებული ინფორმაცია კომპანიის მეწილეების თაობაზე.

განახლებული ინფორმაცია კომპანიის მეწილეების შესახებ არ არის ღია არც სსიპ - საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტოს ვებგვერდზე. სააგენტოს პასუხიდან კი ირკვევა, რომ ალპანას ჰიდროელექტროსადგური წარმოადგენს კერძო ინიციატივას და ვინაიდან ჩვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია შეიძლება შეიცავდეს კომერციულ საიდუმლოებას, ამიტომ უნდა მიგვემართა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის.

დასკვნა

ზემოაღნიშნული საკითხებიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ გადაწყვეტილების მიმღები მოკლებულია შესაძლებლობას მიიღოს დადებითი გადაწყვეტილება წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშზე. აუცილებელია, სკოპინგის ანგარიში დაუბრუნდეს კომპანიას გადასამუშავებლად, რომელსაც უნდა დაემატოს ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასების მონაცემები პროექტის დასაბუთებასთან დაკავშირებით.